განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 17 ოქტომბერი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 30 ნოემბერი, 2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (პირველი საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა კასრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბექა მარუაშვილი, აუდიტორული კომპანია „არესემ საქართველო“ RSM Georgia LLC, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ბიზნესის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნის დაუფლებით, ლოგიკური აზროვნებით და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით შეუძლია მუდმივად ცვალებად გარემოში ბიზნეს-პრობლემების იდენტიფიცირება, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე ბიზნეს-პროცესების დაგეგმვის და მართვის პროცესში მონაწილეობა, სიტუაციის ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, პროფესიული ურთიერთობა ადამიანებთან, თვითგანვითარება, ეთიკური ნორმების დაცვა.

პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. აქედან 57 კრედიტი ზოგად სავალდებულო სასწავლო კურსებია ეთმობა, 24 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები, 9 კრედიტი თავისუფალი კურსები, 90 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები და 30 კრედიტი არჩევით მოდულები (საბუღალტრო აღრიცხვა, ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი). ძირითად პროგრამასთან ერთად ხდება მაინორ სპეციალობის შეთავაზება 60 კრედიტის ფარგლებში (როგორც ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, ასევე სხვა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის).

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წლის 11 დეკემბერს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N770, 11.12.2012 გადაწყვეტილება).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 17 ოქტომბერს. ვიზიტამდე, 16 ოქტომბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (რუსუდან სეთურიძე, თეა კასრაძე, ბექა მარუაშვილი, ანა გვრიტიშვილი), 16^{00} საათიდან და 18^{00} საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა.

ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

17 ოქტომბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10^{00} საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს

საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ბიზნესის ადმინისტრირების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 2.5 და 2.6 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.2 და 2.3 კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, 2.1 და 2. 4 კომპონენტი კი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.2 და 4.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, 4.3 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სადაც 5.1 და 5.3 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მოქმედია, ჰყავს სტუდენტები, კურსდამთავრებულები, რომელთა ნაწილი სწავლას აგრძელებს განათლების შემდგომ საფეხურზე, ხოლო ნაწილი დასაქმებულია პროფილის მიხედვით, პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, არის სიცოცხლისუნარიანი და ექვემდებარება განვითარებას.

- **რეკომენდაციები**

1. მიზანშეწონილია პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა;
2. პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად შეფასებისა, შემდგომ პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის გამოყენებისა და მთლიანად სასწავლო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია მაქსიმალურად მოკლე დროში მოხდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სრულად დანერგვა;
3. მიზანშეწონილია გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში) განხორციელდეს ცვლილებები;

4. გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (სასწავლო კურსებში: „ფინანსური სისტემა“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „საერთაშორისო ფინანსები“, „საგადასახადო საქმე“ და სხვ.)
5. რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მეტად მოერგოს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას, კერძოდ სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა“ სწავლის შედეგები უმჯობესია შეფასდეს არა სააუდიტორიო აქტივობისა და საშინაო დავალება (ქვიზის), არამედ პროექტის შესრულების მიხედვით.
6. სპეციალობის სავალდებულო კურსებში დასამატებელია ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები, როგორებიცაა „ლოჯისტიკა“, „რისკების მართვა“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ (გაძლიერებული Excel-ისა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის (Access) სწავლებით).
7. მიზანშეწონილია განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა, რათა მასში ასახული იყოს თანამედროვე კვლევები და ტენდენციები (გაყიდვების მართვის პრინციპები (2009); საზოგადოებასთან ურთიერთობა (2006); აკადემიური წერა (2004, 2009); ალბათობის თეორია (2008); ბიზნეს ინფორმატიკა (2009); საგადასახადო საქმე (2007) და ა.შ.);
8. მიზანშეწონილია მოხდეს იმ სასწავლო კურსების სილაბუსების გადამუშავება, რომლის შესწავლის საშუალება სტუდენტებს აქვთ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, რათა სილაბუსით გათვალისწინებული საგნის ფარგლებში შესასწავლი საკითხები იდენტური იყოს;
9. დაზუსტდეს ინგლისური ენის სწავლებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და გასაგებად აღიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში;
10. პრაქტიკული უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით სასწავლო კურსებში უფრო მეტად მოხდეს პრაქტიკული სამუშაოების/როლური თამაშების/სიმულაციების ინტეგრირება.
11. მიზანშეწონილია შეფასების სისტემა ყველა სილაბუსში დეტალურად იყოს ჩაშლილი.
12. მიზანშეწონილია საერთაშორისო კუთხით შეთავაზებული აქტივობების გამრავალფეროვნება და პერიოდულად საერთაშორისო სპეციალისტების ჩამოყვანა, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ სტუდენტებს.
13. მიზანშეწონილია დაწესებულებამ მუდმივი ხასიათი მისცეს აკადემიური პერსონალის გადამზადებას: სწავლის შედეგების შეფასებასა (მათი მიღწევის, გაზომვის/შეფასების საკითხებთან) და სწავლების თანამედროვე მეთოდებში.
14. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სწავლისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისი რესურსებით (აუდიტორიების მოწესრიგება, პროექტორებით, თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა და ა.შ.) უზრუნველყოფა.
15. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადაამუშაოს პროგრამის წარმოდგენილი სავარაუდო ბიუჯეტი და იზრუნოს დამატებითი თანხების მოზიდვაზე.
16. რეკომენდებულია დაწესებულებამ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებას ხარისხის უზრუნველყოფის “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლში.
17. რეკომენდებულია გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის განვითარების პროცესში (მათ შორის პრაქტიკის ობიექტების სპექტრის

გაზრდაში), სტუდენტებისათვის პრაქტიკოსებთან მეტი შეხვედრების ორგანიზება და ა.შ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ✓ სასურველია პროგრამას ჰქონდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, მოხდეს სწავლის შედეგების შეფასების მუდმივი მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
  - ✓ სასურველია უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის წახალისებას.
  - ✓ სასურველია გაგრძელდეს სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შეძენის პროცესი.
  - ✓ სასურველია პროგრამის გარე შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება და შეძლებისდაგვარად უცხოელი ექსპერტების ჩართვა.
  - ✓ სასურველია პროგრამის მონიტორინგის ორგანიზებას მუდმივი ხასიათი მიეცეს და მოიცვას ყველა სასწავლო კურსი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წლის 11 დეკემბერს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N770, 11.12.2012 გადაწყვეტილება). რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება ეტაპობრივად განხორციელდა, მაგალითად:

2015 წელს ცვლილება განხორციელდა ბიზნესის ადმინისტრირების დამატებით (Minor) პროგრამაში. კერძოდ:

1. შეიცვალა არჩევითი სასწავლო კურსის „ფინანსური ანგარიშგება“ კრედიტების რაოდენობა: 6 კრედიტი გახდა 3 კრედიტი;
2. არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსი „ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები“ - 3 კრედიტი.
3. სასწავლო კურსების სილაბუსები შეივსო მიმართულების თანამედროვე აქტუალურ მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურით.

2016 წელს ცვლილებები განხორციელდა შეფასების სისტემაში შესატან ცვლილებებზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების N3 (2007 წ. 5 იანვარი) შესაბამისად და მოხდა სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება (ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N7, 12.10.2016).

2018 წელს მოხდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება:

1. ზოგადი და სპეციალობის სავალდებულო კურსების გაძლიერების მიზნით სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა 141-დან გაიზარდა 147 კრედიტამდე. კონცენტრაციის არჩევითი კრედიტების რაოდენობა 30 კრედიტიდან შემცირდა 24

კრედიტამდე. ამასთან, სტუდენტს 24 კრედიტის ფარგლებში მიეცა თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება, შეთავაზებული კონცენტრაციების ბაზაზე ინდივიდუალურად ჩამოაყალიბოს მისთვის საინტერესო სასწავლო კურსები.

2. ზოგადი და სპეციალობის სავალდებულო კურსების ნაწილში შეტანილია სასწავლო კურსები: დარგობრივი უცხო ენა - დამატებით 3 კრედიტი და ამჟამად უცხო ენის სწავლება მიმდინარეობს არა 4 სემესტრის, არამედ 5 სემესტრის მანძილზე; ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა - 5 კრედიტი; ოპერაციათა კვლევა - 3 კრედიტი; ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები - 4 კრედიტი; მმართველობითი აღრიცხვა - 4 კრედიტი; რეკლამა და პრომოცია - 4 კრედიტი, ინტერნეტ-მარკეტინგი - 3 კრედიტი; ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები - 6 კრედიტი, ფინანსური სისტემა - 3 კრედიტი, საერთაშორისო ფინანსები - 3 კრედიტი. არჩევით კონცენტრაციებში: მარკეტინგი: გაყიდვების მართვის პრინციპები - 3 კრედიტი; მენეჯმენტი: ბიზნეს-კომუნიკაციები - 3 კრედიტი; კორპორაციული მენეჯმენტი - 6 კრედიტი; ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები - 3 კრედიტი; ფინანსები: ინვესტიციების მართვა - 6 კრედიტი, ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება - 3 კრედიტი.
3. დამატებით (Minor) პროგრამაში სტუდენტებისათვის მეტი არჩევანის შეთავაზების მიზნით გაიზარდა არჩევითი კურსების მოცულობა 36 კრედიტიდან 42 კრედიტამდე.
4. სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე მოხდა კრედიტების მინიჭების მექანიზმის სრულყოფა და სხვა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც მოიცავს შემდეგს: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 1932 წელს დაარსებული სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან სოხუმის/აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის) უშუალო სამართალმემკვიდრეს. ის არის მრავალსაუკუნოვანი ზოგადქართული საგანმანათლებლო ტრადიციების მატარებელი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ეფუძნება ქართველი და აფხაზი ხალხების სულიერ და ინტელექტუალურ ფასეულობებს, მულტიკულტურული სისტემების მდგრადობის განმსაზღვრელ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; გააჩნია განსაკუთრებული ეთნიკური, მენტალური და სოციოკულტურული ფასეულობების შემაკავშირებელი ფუნქცია - ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის უკანასკნელ ათწლეულებში გაჩენილი მენტალური გაუცხოების აღმოფხვრისა და აფხაზეთში ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების აღდგენის პროცესის ხელის შეწყობა - ეს განსაკუთრებული მისია, რომელიც უპირატესობასთან ერთად, საგანგებო და ისტორიული პასუხისმგებლობაცაა, აჩენს შესაძლებლობას, რომ უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო კერასთან ერთად, იქცეს კონფლიქტების კვლევის რეგიონულ ცენტრად. უნივერსიტეტის მისიაა კაცობრიობის მთავარი ღირებულებების - განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მაღალ ზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. უნივერსიტეტის კარი ღიაა ყველა სტუდენტისა და პროფესორისათვის განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, „ბიზნესის ადმინისტრირების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც

ბიზნესის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნის დაუფლებით, ლოგიკური აზროვნებით და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით შეუძლია მუდმივად ცვალებად გარემოში ბიზნეს-პრობლემების იდენტიფიცირება, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე ბიზნეს-პროცესების დაგეგმვის და მართვის პროცესში მონაწილეობა, სიტუაციის ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, პროფესიული ურთიერთობა ადამიანებთან, თვითგანვითარება, ეთიკური ნორმების დაცვა.

მიზანშწონილია პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა. (მაგალითად, პროგრამის ერთ-ერთი მიზანი „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება“ არ არის ასახული შედეგში (კომუნიკაციის უნარი)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის მიზნები და შედეგები მეტწილად შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია და მიღწევადია.

პროგრამაზე 2012 წლიდან დღემდე გამოცხადებული ადგილებისა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობების დინამიკას თუ განვიხილავთ, შემდეგია:



პროგრამის მომზადებამდე ჩატარდა დასაქმების ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც, გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით, მოხდა სასწავლო კურსების შინაარსის მოდერნიზაცია, სწავლის მეთოდების განახლება, გარკვეული სასწავლო კურსების დამატება და ა.შ.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებიდან გამომდინარე პროგრამა ორიენტირებულია დარგისა და საზოგადოების განვითარებაზე, რაც მეტწილად მიღწევადია ძირითადი სასწავლო კურსების ათვისებით და კურიკულუმის გარეშე აქტივობებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- სსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროგრამის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- თვითშეფასების კითხვარი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;
- ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (ბრძანება #120/ნ. 2010 წლის 10 დეკემბერი) დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან და მეტწილად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს (იხ. რეკომენდაცია 1.1). პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას,

რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად შეფასებისა და შემდგომ პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის გამოყენებისა და მთლიანად სასწავლო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია მაქსიმალურად მოკლე დროში მოხდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სრულად დანერგვა. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე გადასვლის საშუალებას. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული პირი. პროგრამის განხორციელების პერიოდულად შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე არსებობს მოთხოვნა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებზე, თუმცა კვლევის შედეგებით აღმოჩნდა, რომ კურსდამთავრებულთა მხოლოდ 50% დასაქმებული და მათგან 35% დასაქმებულია პროფილით. სასურველია პროგრამას ჰქონდეს სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისთვის, მოხდეს სწავლის შედეგების შეფასების მუდმივი მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი; • ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ○ პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად შეფასებისა, შემდგომ პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის გამოყენებისა და მთლიანად სასწავლო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია მაქსიმალურად მოკლე დროში მოხდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სრულად დანერგვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პროგრამას ჰქონდეს სამიზნე ნიშნულები პროგრამის სწავლის შედეგებისთვის, მოხდეს სწავლის შედეგების შეფასების მუდმივი მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. მეოთხე გამოცდად განსაზღვრულია მათემატიკა ან გეოგრაფია.

პროგრამაზე შესაძლებელია მობილობით სტუდენტთა მიღება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამაზე მიღების წინაპირობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით, რომლის დაინტერესებული საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარი.

დაშვების წინაპირობები და პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია დაინტერესებული პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- უსდ-ის ვებგვერდით: https://www.sou.edu.ge/ ;
- ინტერვიუ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიაში აღწერილია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების და პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი.

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს 240 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

კრედიტები განაწილებულია შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

- **ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები** - 57 კრედიტი;
- **სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები** - 90 კრედიტი (მათ შორის პროფესიული პრაქტიკა - 6 კრედიტი და საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 6 კრედიტი);
- **არჩევითი კურსები** - 24 კრედიტი;
- **თავისუფალი კურსები** - 9 კრედიტი (სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი);
- **დამატებითი (minor) პროგრამა** - 60 კრედიტი (დამატებით პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან).

საბაზისო და სპეციალობის სასწავლო კურსები ნაწილობრივ ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა-გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებში გაწერილი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის, ღირებულებების ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მიმართ გვაქვს გარკვეული შენიშვნები:

- პროგრამის მიზნებიდან და მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზება უნდა ხდებოდეს სავალდებულო კურსების კომპონენტში, ზოგიერთი სავალდებულო კურსის კი პირიქით. კერძოდ:
  - ✓ სასწავლო კურსები „პროექტების მართვა“ და „ინვესტიციების მართვა“ კონცენტრაციის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი კურსებიდან გადატანილ იქნეს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში.

- ✓ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში შეთავაზებული ოთხი მარკეტინგული დისციპლინიდან - მარკეტინგის საფუძვლები, რეკლამა და პრომოცია, ინტერნეტ-მარკეტინგი და საერთაშორისო მარკეტინგი, მინიმუმ 2 კურსი (გარდა მარკეტინგის საფუძვლებისა) გადატანილი იქნეს მარკეტინგის კონცენტრაციაში.

- რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მეტად მოერგოს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას, კერძოდ სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა" სწავლის შედეგები უმჯობესია შეფასდეს არა სააუდიტორიო აქტივობისა და საშინაო დავალება (ქვიზის), არამედ პროექტის შესრულების მიხედვით.
- სპეციალობის სავალდებულო კურსებში დასამატებელია ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები, როგორებიცაა „ლოჯისტიკა", „რისკების მართვა" და „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში" (გაძლიერებული Excel-ისა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის (Access) სწავლებით).

- მიზანშეწონილია სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების გადახედვა და ზოგიერთი კურსის დაშვების წინაპირობების გასწორება. კერძოდ,
  - სასწავლო კურსის „ფინანსური სისტემის" წინაპირობად „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების" ნაცვლად მიკრო და/ან მაკრო ეკონომიკის პრინციპები;
  - სასწავლო კურსის „მმართველობითი აღრიცხვა" წინაპირობის „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების" ნაცვლად ფინანსური აღრიცხვა;
  - სასწავლო კურსის „საერთაშორისო ფინანსების" წინაპირობის „ფინანსური მენეჯმენტის" საფუძვლების ნაცვლად „ფინანსური სისტემა";
  - სასწავლო კურსის „საგადასახადო საქმის" წინაპირობის „მენეჯმენტის საფუძვლების" ნაცვლად ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები ან ფინანსური სისტემა;
  - სასწავლო კურსის „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის" წინაპირობის „მათემატიკა ბიზნესისათვის I" ნაცვლად „მათემატიკა ბიზნესისათვის II";
  - მმართველობით აღრიცხვაში „ბუღალტრული საფუძვლების" ნაცვლად „ფინანსური აღრიცხვა";
  - სასწავლო კურსის „დარგობრივი უცხო ენის" წინაპირობა B1-ის ნაცვლად B2.1.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები).

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში) განხორციელდეს ცვლილებები;

- გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (სასწავლო კურსებში: „ფინანსური სისტემა“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „საერთაშორისო ფინანსები“, „საგადასახადო საქმე“ და სხვ.).
- რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მეტად მოერგოს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას, კერძოდ სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა“ სწავლის შედეგები უმჯობესია შეფასდეს არა საუდიტორიო აქტივობისა და საშინაო დავალება (ქვიზის), არამედ პროექტის შესრულების მიხედვით.
- სპეციალობის სავალდებულო კურსებში დასამატებელია ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები, როგორებიცაა „ლოჯისტიკა“, „რისკების მართვა“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ (გაძლიერებული Excel-ისა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის (Access) სწავლებით).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. პროგრამაში კრედიტების რაოდენობის სწავლის შედეგებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია დაზუსტდეს ინგლისური ენის სწავლებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (A1;A2;B1.2 – 6 კრედიტიანი სასწავლო კურსებია, ხოლო B1;B2.1;B2.2 – 3 კრედიტიანი სასწავლო კურსები) და გასაგებად აღიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში. ინგლისურენოვან სასწავლო კურსებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რადგან სტუდენტს შეუძლია არჩევანი გააკეთოს აღნიშნულ სასწავლო კურსს ინგლისურ თუ ქართულ ენაზე გაივლის, აუცილებელია სილაბუსებით გათვალისწინებული სასწავლო თემები იდენტური იყოს. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამხმარე მასალა ნაწილობრივ დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში (2009) გარდა მოძველებული ლიტერატურისა, ამ სასწავლო კურსს სავალდებულო ლიტერატურაში კიდევ მითითებული აქვს ორი წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", რომლებიც რეალურად სწავლების დროს არ გამოიყენება; გაყიდვების მართვის პრინციპები (2009); საზოგადოებასთან ურთიერთობა (2006); აკადემიური წერა (2004, 2009); ალბათობის თეორია - (2008); ბიზნეს ინფორმატიკა (2009); საგადასახადო საქმე (2007).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა, რათა მასში ასახული იყოს თანამედროვე კვლევები და ტენდენციები (გაყიდვების მართვის პრინციპები (2009); საზოგადოებასთან ურთიერთობა (2006); აკადემიური წერა (2004, 2009); ალბათობის თეორია (2008); ბიზნეს ინფორმატიკა (2009); საგადასახადო საქმე (2007) და ა.შ.) ○ მიზანშეწონილია მოხდეს იმ სასწავლო კურსების სილაბუსების გადამუშავება, რომლის შესწავლის საშუალება სტუდენტებს აქვთ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, რათა სილაბუსით გათვალისწინებული საგნის ფარგლებში შესასწავლი საკითხები იდენტური იყოს. ○ დაზუსტდეს ინგლისური ენის სწავლებისთვის გამოყოფილი კრედიტების

რაოდენობა და გასაგებად აღიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის სტუდენტები ჩართულნი არიან ადგილობრივ კვლევით პროექტებში. საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საწარმოო პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მოპოვებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც ორიენტირებულია სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნის გაღრმავებაზე, მის სისტემატიზაციაზე, ანალიზზე, თეორიული ხასიათის ნაშრომის შესრულებასა და

პრეზენტაციის უნარების განვითარებაზე. სტუდენტები ირჩევენ საკვლევ თემას, ადგენენ სამუშაო გეგმას, ახორციელებენ ინფორმაციის მოძიებას და სათანადოდ დამუშავებას, დასკვნების ჩამოყალიბებას და საჯაროდ დაცვას. ნაშრომზე მუშაობა სტუდენტს უვითარებს დამოუკიდებელი საპროექტო/კვლევითი სამუშაოს წარმართვის საწყის უნარებს და ამზადებს წინაპირობებს, რათა სტუდენტმა უფრო მარტივად შეძლოს აკადემიური განათლების მე-2 საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლა. გარდა ამისა, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ უსდ-ს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, საჯარო ლექციებში, სტუდენტთა დასაქმების მიზნით ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა • მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან/დამსაქმებლებთან; • საბაკალავრო ნაშრომის და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსები; • ინტრევიუ სტუდენტებთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; • პროგრამის ფარგლებში დაცული საბაკალავრო ნაშრომები • სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები.
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პესონალის მიერ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი და სხვ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები და აქტივობები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მეტწილად უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. მასალების დეტალური შესწავლისა და ინტერვიუებიდან გამომდინარე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით მიზანშეწონილია უფრო მეტად მოხდეს პრაქტიკული სამუშაოების/როლური თამაშების/სიმულაციების ინტეგრირება სასწავლო კურსებში.

